სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 თებერვალი, 2024 წ.

ბრძანება N01-08/30

ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,აგრო სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" და ბსუ-ს შორის 2023 წლის 11 დეკემბერს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" და ბსუ-ს შორის 2023 წლის 12 დეკემბერს დადებული ,,აგრო სტიპენდიის'' ნომინაციების ფარგლებში დადებული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 14 დეკემბრის №1709400 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №26-05/19 საოქმო გადაწყვეტილებისა და ამავე ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 13 თებერვლის №151033 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაენიშნოთ და გაიცეს **,,აგრო სტიპენდია"** 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის 2 სტუდენტზე და ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა" ბსუ-ს 1 პროფესიულ სტუდენტზე შემდეგი ოდენობით:

,,აგრო სტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს სტუდენტი/ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სწავლების საფეხური/საგანმანათლებლო პროგრამა	,,აგრო სტიპენდიის" ერთჯერადი ოდენობა

ალიოშა საჯაია	ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების“ მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
ნიკა მამულაძე	ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების“ მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
შუქრი კუტუბიძე	პროფესიული პროგრამა /,,მებაღეობა“	500 ლარი

2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა აცნობოს სტუდენტებს/პროფესიული სტუდენტს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში).
3. სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს'' გაეგზავნოს წინამდებარე ბრძანება, ასევე საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, **,,აგრო სტიპენდიის“** ამ ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტზე ჩარიცხვის თაობაზე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**